საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2152
28/03/2023

2152-21-2-202303281655

შპს „გეოკროპს“
მის: ქ. თბილისი, ვ. დოლიძის №60
ელ. ფოსტა: g.gachechiladze@mkisa.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1523 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო სატუმბი სადგური შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული არხიდან დაშორებულია 7-8 მეტრით, რაც აკმაყოფილებს არხის გასხვისების ზოლის სიგანეს, თუმცა, წარმოდგენილი არ არის სადაწნეო მილსადენით ზემოაღნიშნული არხის კვეთის ტექნიკური პირობები, რაც საჭიროებს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმებას;
- 3.4.1 ქვეთავის თანახმად, მდ. მაშავერას საშუალო წლიური ხარჯების სიდიდეების დასადგენად საპროექტო კვეთში, გამოყენებულია ანალოგის მეთოდი. ხოლო ანალოგად გამოყენებულია 1986 წლის ჩათვლით გამოქვეყნებული დაკვირვების შედეგები. თუმცა, 1986 წლის შემდგომი პერიოდის ჰიდროლოგიური მონაცემები მოიპოვება გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და შესაბამისად, საჭიროებს განახლებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესახებ. ამასთან, საკვლევი ტერიტორიის სტიქიური გეოლოგიური კუთხით შესაფასებლად, დოკუმენტში წარმოდგენილია მთლიანი ქვემო ქართლის ტერიტორია, რის გამოც საკვლევი არეალის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური პირობების აღწერა მოკლებულია კონკრეტიკას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო